სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება
18.04.2017 № 60

თბილისი

სტუ-ში 2017 წლის გაზაფხულზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით პროფესიული ტესტირების ჩატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შეფასების ფორმის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 სექტემბრის №1054 ბრძანების, ,,2017 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები და დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე" საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 18 აპრილის №348 ბრძანების, ,,2017 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგის განსაზღვრისა და ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 18 აპრილის №349 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2017 წლის გაზაფხულზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი).

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ტესტირება ჩატარდეს 2017 წლის 19 აპრილს 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, 20 აპრილს 11:00 საათიდან 14:00 საათამდე და 21 აპრილს 11:00 საათიდან 13:00 საათამდე.
3. ტესტირება ჩატარდეს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გ. აბრამიშვილს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი

ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. თამარ ცერცვაძე - სწავლების დეპარტამენტის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ კობერიძე - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (კომისიის წევრი);
3. მამუკა მაისურაძე - „ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტი“ პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
4. ლეილა გვერდწითელი - „გარემოს დაცვის ტექნიკოსი“ პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
5. ზიზი სვანიძე - ,,სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი“ პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
6. თამარ ცინცაძე - „ფარმაცევტის თანაშემწე“ პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
7. დალი იობიძე - „სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი“ პროგრამის მასწავლებელი (კომისიის წევრი);
8. თამარ ცისკარიძე - „სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი“ პროგრამის მასწავლებელი (კომისიის წევრი).